საქართველოს
ეროვნული პლატფორმა

აღმოსავლეთ პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი

განცხადება

ევროკავშირის მრავალწლიანი მხარდაჭერა საქართველოს დემოკრატიული განვითარების, განათლების, ინფრასტრუქტურის და სხვა სფეროებში ღირებული და დასაფასებელია. საქართველო-ევროკავშირის პარტნიორობა საერთო ღირებულებებსა და ურთიერთპატივისცემას ეფუძნება. მნიშვნელოვანია ევროკავშირის პოზიტიური გამოხმაურება ქართველი ხალხის მიმართ საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით.

ამ ფონზე მიუღებელია საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2026 წლის 19 მაისის ღია წერილში გაცხადებული, თითქოს „ევროკავშირი აღარ იცავს იმ ფუნდამენტურ პრინციპებს, რომლებსაც დაეფუძნა...“

პრემიერ-მინისტრი თავის განცხადებას აფუძნებს მცდარ ფაქტს, თითქოს საქართველოს ევროკავშირში გაწევრების პროცესი არა „ქართულმა ოცნებამ“, არამედ თავად ევროკავშირმა შეაჩერა. ყველას გვახსოვს ამავე პრემიერ-მინისტრის 2024 წლის 28 ნოემბრის განცხადება: „დღეს მივიღეთ გადაწყვეტილება, 2028 წლის ბოლომდე დღის წესრიგში არ დავაყენოთ ევროკავშირთან მოლაპარაკების გახსნის საკითხი.” ამასთან, საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესისთვის დაბრკოლება არა თავად ევროკავშირი, არამედ საქართველოში ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებია.

არ ვეთანხმებით ინტერპრეტაციას, თითქოს საქართველოში უკეთ არის დაცული ადამიანის უფლებები ვიდრე ევროკავშირის სივრცეში. საქართველოში საპროტესტო აქციების მონაწილეებს სამართალდამცავი სისტემა სასტიკად გაუსწორდა, რასაც მართლმსაჯულების სისტემა დაუსჯელობით პასუხობს. ბოლო წლებში საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულმა კანონებმა მკვეთრად შეზღუდა სიტყვის თავისუფლება, მნიშვნელოვნად შეიზღუდა სივრცე საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობისთვის, შეკრება და განსხვავებული აზრის გამოხატვა სულ

უფრო რთული ხდება. არც ერთი ეს პრობლემა არ უდგას ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს.

დარწმუნებული ვართ ევროკავშირი მომავალშიც მნიშვნელოვან როლს შეასრულებს საქართველოს დემოკრატიულ და ეკონომიკურ განვითარებაში, რადგან ევროპული არჩევანი ქართველი ხალხის არჩევანია. მმართველი ხელისუფლება ვალდებულია დაემორჩილოს ხალხის ნებას და შეწყვიტოს საქართველოს ევროპული პერსპექტივისთვის დამაზიანებელი რიტორიკა.